ბერტრან რასელი

რატომ **არ** ვარ ქრისტიანი

რისი მწამს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

ესსეიში „რატომ არ ვარ ქრისტიანი“ ავტორი ხსნის „ქრისტიანის“ ცნებას, ასევე იმას, თუ რატომ არ სწამს ღმერთისა და უკვდავების, აკრიტიკებს ღმერთის არსებობის სხვადასხვა არგუმენტს და ეჭვქვეშ აყენებს იესოს ისტორიულ არსებობას.

ესსეი „რისი მწამს“ ისევე, როგორც „რატომ არ ვარ ქრისტიანი“, ავტორის ათეიზმის ყველაზე ცხადი და ცნობილი ნიმუშია. ესსეი შეიძლება განვიხილოთ, როგორც რასელის ფილოსოფიის საუკეთესო შესავალი.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6595-4

სარჩევი

რატომ არ ვარ ქრისტიანი 7

ვინ არის ქრისტიანი? 9

ღმერთის არსებობა 11

პირველმიზეზის არგუმენტი 12

ბუნებრივი კანონზომიერების არგუმენტი 14

წინასწარი განზრახულობის არგუმენტი 18

ზნეობრივი არგუმენტები 20

უსამართლობის აღმოფხვრის არგუმენტი 23

იესოს პიროვნება 24

იესოს მოძღვრების ხარვეზები 27

ზნეობრივი პრობლემა 29

ემოციური ფაქტორი 32

როგორ აბრკოლებდნენ ეკლესიები პროგრესს 35

შიში – რელიგიის საფუძველი 36

რა უნდა გავაკეთოთ 37

რისი მწამს 41

წინასიტყვაობა 41

1. ბუნება და ადამიანი.....43
2. მართებული ცხოვრება.....55
3. ზნეობის კანონები.....66
4. ხსნა (ინდივიდუალური და სოციალური).....81
5. მეცნიერება და ბედნირება.....88

რატომ **არ** ვარ ქრისტიანი

როგორც[1] თავმჯდომარემ მოგახსენათ, ჩემი დღევანდელი ლექციის სახელწოდებაა – „რატომ არ ვარ ქრისტიანი“. ვფიქრობ, ამთავითვე კარგი იქნებოდა, გაგვერკვია სიტყვა ქრისტიანის არსი. საქმე ისაა, რომ დღეისთვის უამრავი ადამიანი იყენებს მას ფრიად გაურკვეველი მნიშვნელობით და მათი უმრავლესობა ამ ცნებაში მხოლოდ ისეთ ადამიანს გულისხმობს, რომელიც ცდილობს, ცხოვრების ჯეროვან წესს მისდიოს. ვფიქრობ, ამ გაგებით ქრისტიანების მოძიება ყველა სექტასა და რელიგიაში იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ეს ამ სიტყვის მართებული მნიშვნელობაა, რადგან აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა,

1. ბერტრან რასელი წინამდებარე ლექციით 1927 წლის 6 მარტს წარსდგა ეროვნული საერო საზოგადოების სამხრეთ ლონდონის ფილიალის წინაშე ბათერსის თაუნ ჰოლში. გამოქვეყნებულია ბროშურის სახით იმავე წელს.

ვინ არის ქრისტიანი?

დღეს ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ იძულებულნი ვართ, ერთგვარ გაურკვევლობაში ვიყოთ ქრისტიანის ცნებასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ჩვენ წინაშეა ორი ძირითადი კომპონენტი, რომელიც არსებითია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებს. პირველი უფრო დოგმატური ხასიათისაა. კერძოდ, იგი გულისხმობს, რომ თქვენ უნდა გწამდეთ ღმერთი და უკვდავება. თუ ეს ორი რამ არ გწამთ, არ მიმაჩნია, მართებული იყოს, საკუთარ თავს ქრისტიანი უწოდოთ. შემდეგ, როგორც ამას თავად სახელწოდება გვკარნახობს, თქვენ უნდა გაგაჩნდეთ გარკვეული სახის რწმენა იესო ქრისტესი. მაგალითად, მუსულმანებსაც სწამთ ღმერთი და უკვდავება, მაგრამ საკუთარ თავს ქრისტიანებად არ თვლიან. ვფიქრობ,

რისი მწამს

წინასიტყვაობა

ამ მცირე ზომის წიგნით შევეცადე, ჩემი შეხედულებები გადმომეცა ადამიანის ადგილის შესახებ სამყაროში და ასევე მისი შესაძლებლობისა, იცხოვროს ღირსეულად. „იკარუსში“ მე ჩემი შიშები გავაცანი საზოგადოებას; მომდევნო გვერდებზე ჩემს იმედებს გაგაცნობთ. შეუსაბამობა ცხადია. ასტრონომიის გარდა, ადამიანმა ვერსად ისწავლა მომავლის წინასწარმეტყველების ხელოვნება; ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის მოღვაწეობაში არის ძალები, რომლებიც ბედნიერებას ქმნის, და არის ძალები, რომლებიც ქმნის სატანჯველს. ჩვენთვის უცნობია, რომელი მოიპოვებს უპირატესობას, მაგრამ გონივრული ქმედებებისთვის ორივეს უნდა ვიცნობდეთ.

იანვარი 01, 1925
ბ.რ.

1. ბუნება და ადამიანი

ადამიანი ბუნების ნაწილია და არა რაღაც, რაც დაპირისპირებულია მასთან. მისი აზრები და სხეულის მოძრაობა იმავე კანონებს ემორჩილება, რომლებიც ვარსკვლავებისა და ატომების მოძრაობას განსაზღვრავს. ფიზიკური სამყარო ადამიანთან შედარებით დიდია – უფრო დიდი, ვიდრე ეს დანტეს დროს ესმოდათ, თუმცა არც იმდენად დიდი, როგორც ეს ჯერ კიდევ ასი წლის წინ სწამდათ. მაგრამ, სიგრძივ თუ განივ, დიდსა თუ მცირეში, მეცნიერება, როგორც ჩანს, თავის საზღვრებს აღწევს. ფიქრობენ, რომ სამყარო სასრულია სივრცივ, ხოლო შუქი მის გარშემო რამდენიმე ასეული მილიონი წლის განმავლობაში მოგზაურობს. ფიქრობენ, რომ მატერია ელექტრონებისა და პროტონებისგან შედგება, რომლებსაც სასრული ზომა აქვთ და რომელთა რაოდენობა სამყაროში ასევე სასრულია. სავარაუ-